

ჩვევები	პლუსი	მინუსი
<p><u>პრაქტიკულ შესაძლებლობები/ ტექნიკური ჩვევები</u></p> <p>განსაზღვრეთ და შეაფასეთ პრაქტიკულ შესაძლებლობები, რომლებიც საჭიროა პროდუქციის წარმოებისათვის ან მომსახურების შეთავაზებისათვის.</p> <p><i>მაგალითად თუ თქვენ აპირებთ დაიწყოთ ტანსაცმლის კერვა, უნდა იცოდეთ ჭრა-კერვა, სარემონტო სახელოსნოს გასახსნელად უნდა შეგეძლოთ ძრავის რემონტი.</i></p> <p>თუ თქვენ არ ფლობთ ამ ჩვევებს, შეაფასეთ უარყოფითად</p>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
<p><u>ბიზნეს მართვის ჩვევები</u></p> <p>პრაქტიკული შესაძლებლობები - ეს არსებითია საქმის წარმოების ეფექტურობისათვის, მაგრამ ბიზნეს მართვის სხვა სფეროებიც არანაკლებ აუცილებელია საქმის წარმართვისათვის.</p> <p><i>მაგალითად ხარჯების განსაზღვრა და აღრიცხვის წარმოება.</i></p> <p>განსაზღვრეთ და შეაფასეთ გაქვთ თუ არა ეს ჩვევები</p>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
<p><u>საქმიანობის სფეროს ცოდნა</u></p> <p>საქმიანობის ზოგიერთი სფეროსათვის პროფესიონალიზმი აუცილებელი - განმსაზღვრელია, ზოგიერთისთვის კი ის არ წარმოადგენს მთავარ ფაქტორს, თუმცა ცოდნა ყოველთვის დაგეხმარებათ. თქვენ არ დაუშვებთ შეცდომებს, თუ შეისწავლით ბაზარს, კონკურენტებს და მომწოდებლებს.</p> <p>განსაზღვრეთ და შეაფასეთ ფლობთ თუ არა ეს ინფორმაცია და/ან ცოდნა</p>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პიროვნული დახასიათება	პლუსი	მინუსი
<p><u>ერთგულება</u></p> <p>თუ გინდათ წარმატებული იყოთ საკუთარ საქმეში, უნდა</p>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

<p>იყოთ მისდამი ერთგული, დააყენო საქმე ყველაზე მაღლა. ეს ნიშნავს, რომ თქვენ ხანგრძლივი დროით იქნებით დაკავებული ამ საქმით და მზად ხართ საკუთარი ფულითაც გარისკოთ.</p> <p style="text-align: center;">შეაფასეთ თქვენი მზადყოფნა</p>		
<p><u>მოტივაცია</u></p> <p>რატომ განიზრახეთ საქმის დაწყება? თქვენ მიაღწევთ წარმატებას, თუ გსურთ გამოცადოთ თქვენი იდეა, იყოთ დამოუკიდებელი და გქონდეთ თქვენი საქმე. თუ თქვენ დგამთ ამ ნაბიჯს მხოლოდ იმიტომ, რომ იძულებული ხართ, ვინაიდან დარჩით სამსახურის გარეშე - ამ შემთხვევაში წარმატების შანსები რამდენადმე ნაკლებია.</p>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
<p><u>რისკის უნარი</u></p> <p>აბსოლუტურად უსაფრთხო საქმიანი იდეები არ არსებობს. თქვენ ყოველთვის მიდიხართ რისკზე განიცადოთ წარუმატებლობა საქმეში. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მეწარმე მზად უნდა იყოს რისკისთვის, რისკი უნდა იყოს გონივრული. ზომიერი რისკი - დადებითი თვისებაა, ხოლო დიდ რისკზე წასვლა ან რისკის გაწევის უუნარობა - განიხილება როგორც უარყოფითი.</p>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
<p><u>გადაწყვეტილებების მიღება</u></p> <p>საკუთარი საქმის წარმოების დროს თქვენ აუცილებლად უნდა მიიღოთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. გადაწყვეტილებების მიღების უფლება შეგიძლიათ გადასცეთ სხვა ადამიანებს და შეიგიძლიათ საერთოდ არ მიიღოთ ისინი. მეტად მნიშვნელოვანია გქონდეთ უნარი მიიღოთ გადაწყვეტილებები, რომლებიც ითვალისწინებენ სერიოზულ შედეგებს.</p>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
<p><u>სიტუაცია ოჯახში</u></p> <p>თქვენი საქმე წაგართმევთ დიდ დროს. ამ დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ოჯახის მხარდაჭერას. იგი უნდა ეთანხმებოდეს საკუთარი საქმის დაწყების თქვენეულ გეგმას. დასაშვებია საქმეში ოჯახის წევრების მონაწილეობა და დახმარებაც. მხარდაჭერა ოჯახის მხრიდან დადებითი მომენტი; თუ თქვენ არ გაქვთ ასეთი მხარდაჭერა, ეს</p>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

მინუსია		
<p>ფინანსური მდგომარეობა.</p> <p>თუ თქვენ გაგაჩნიათ საკუთარი სახსრები საქმეში ჩასადებად და წარუმატებლობის შემთხვევაში თუ ეს არ წარმოადგენს კატასტროფას თქვენი ფინანსური მდგომარეობისათვის ეს პლუსია, თუ თქვენ არა გაქვთ საკუთარი სახსრები და მთლიანად დამოკიდებული ხართ საქმის წარმატებაზე - ეს მინუსია.</p>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

<i>დათვალეთ პლუსებისა და მინუსების რაოდენობა</i>	პლუსების რაოდენობა	მინუსების რაოდენობა

<p>გაანალიზეთ პლუსებისა და მინუსების რაოდენობა არჩეული საქმის შეფასებაში. გაიაზრეთ საგულდაგულოდ თქვენი იდეების ყველა ძლიერი და სუსტი მხარე. რომელი ძლიერი მხარე არის მეტად მნიშვნელოვანი და რომელი სუსტი მხარე არის მეტად კრიტიკული თქვენი საქმისათვის.</p> <p>ვრძნობთ თუ არა თავს მტკიცედ პლუსებისა და მინუსების შედარების დროს ?</p>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
	დიახ	არა